

LEXICALIZATION AND IDIOMATIZATION IN THE GERMAN LANGUAGE

ლექსიკალიზაცია და იდიომატიზაცია გერმანულ ენაში

Lela Makhviladze

Doctor of Philology,

Associated Professor at Gori State University,

Gori, Chavchavadze str., 53, 1400, Georgia,

(+995) 577251210, lelamakhviladze@gmail.com

<https://orcid.org/0009-0007-5561-085X>

Abstract. The article deals with phenomena of lexicalisation and idiomatization in the German Language. The term lexicalization is used inconsistently in the special literature. This term refers to the process of recording and storing lexemes in the lexical fund (vocabulary) of a language on the one hand, and/or the changes in meaning in complex words and the demotivation process and the result on the other hand. Through lexicalization complex words lose syntagmatic character, their original complexity (*mann-isco* > ahd. *menn-isco* > Mensch). Through lexicalization original complex lexemes can become simplexes (mhd. *schuoch-sûtare* > Schuster; ahd. *kien-forha* > Kiefer (die); mhd. *adel-ar[e]* > Adler). Lexicalization is a gradual process. This can only be explained diachronically.

Idiomatization is a process and a result of the semantic change of complex lexemes. Idiomatization is a consequence of lexicalization. In such lexemes it is impossible to decode the meaning of the word from the meaning of the constituents (Taschentuch, Augenblick, Hochzeit). Due to this phenomenon, components of complex words lose the semantic connection / connectivity with the corresponding simple words and with the motivating free morphemes accordingly. A component of idiosyncratic meaning is added.

Fully motivated and fully demotivated complex words are not delineated. There is a wide gap between the two poles of fully motivated and demotivated / completely transition zone with many flowing gradations.

Keywords: Motivation; Lexicalization; Demotivation; Idiomatization; Demotivated Words; opaque Words.

ლელა მახვილაძე

ფილოლოგიის დოქტორი

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი,

ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., 53, 1400, საქართველო,

(+995) 577251210, lelamakhviladze@gmail.com

<https://orcid.org/0009-0007-5561-085X>

აბსტრაქტი. ნაშრომში შესწავლილია ლექსიკალიზაციისა და იდიომატიზაციის მოვლენები გერმანული ენის მაგალითზე. ცნება-ტერმინი ლექსიკალიზაცია სპეციალურ ლიტერატურაში გამოიყენება არაერთგვაროვნად. იგი გულისხმობს, ერთი მხრივ, ენის ლექსიკურ ფონდში ლექსემების შეტანის და მის შემადგენელ ნაწილად გახდომის პროცესს, და/ან მეორე მხრივ, კომპლექსური სიტყვების მნიშვნელობის ცვლილებებს და დემოტივაციის პროცესს და შედეგს. ლექსიკალიზაციის მოვლენით შედგენილი სიტყვა

კარგავს სინტაგმურ ხასიათს, თავის თავდაპირველ კომპლექსურობას (*mann-isco* > ძვ.ზგ. *menn-isco* > Mensch). ამ მოვლენით შესაძლებელია ისტორიული კომპლექსური სიტყვები სიმპლექსები გახდეს (საშ. ზგ. *schuoch-sütäre* > Schuster; ძვ.ზგ. *kien-forha* > Kiefer (die); საშ. ზგ. *adel-ar[e]* > Adler). ლექსიკალიზაცია გრადუალური პროცესია. იგი მხოლოდ დიაქრონიულად აიხსნება.

იდიომატიზაცია გულისხმობს სინტაგმების, შესაბამისად კომპლექსური სიტყვების სემანტიკური ცვლილების პროცესს და შედეგს, რომელიც გამოწვეულია ლექსიკალიზაციის მოვლენით. ასეთ შემთხვევებში შეუძლებელი ხდება კომპლექსური სიტყვის მნიშვნელობის გაგება/დეკოდირება კონსტიტუენტების მნიშვნელობის საფუძველზე (*Taschentuch*, *Augenblick*, *Hochzeit*). იდიომატიზაციის მოვლენით კომპლექსური სიტყვის კომპონენტები/სეგმენტები კარგავენ აზრობრივ კავშირს შესატყვის მარტივ სიტყვებთან, შესაბამისად თავისუფალ მორფემებთან. ამ დროს ხდება იდიოსინკრატული მნიშვნელობის კომპონენტის დამატება.

სრულად მოტივირებული და სრულად დემოტივირებული/იდიომატიზებული სიტყვები არ არიან მკვეთრად გამოიჯნული. ამ ორ პოლუსს შორის არის შუალედური/გარდამავალი ზონა შესაბამისი გრადაციით.

საკვანძო სიტყვები: მოტივაცია; ლექსიკალიზაცია; დემოტივაცია; იდიომატიზაცია; დემოტივირებული სიტყვა; იდიომატიზებული სიტყვა.

შესავალი. ყველა ბუნებრივი ენის, მათ შორის, გერმანული ენის სისტემა მუდმივად განიცდის ცვალებადობას. ცვლილებები ეხება უპირატესად ენის სიტყვათა ფონდს (ლექსიკას). ნაშრომში შესწავლილია ლექსიკალიზაციის, დემოტივაციისა და იდიომატიზაციის მოვლენები გერმანული ენის მაგალითზე.

ლექსიკალიზაცია დიაქრონიული მოვლენაა. ცნება-ტერმინი ლექსიკალიზაცია სპეციალურ ლიტერატურაში გამოიყენება არაერთგვაროვნად. ერთი მხრივ, იგი გულისხმობს ენის ლექსიკურ ფონდში ლექსემების შესვლა-დამკვიდრების, მის შემადგენელ ნაწილად გახდომის პროცესს, მეორე მხრივ, კი - კომპლექსური ლექსემების სემანტიკურ ცვლილებებს (რაც ხდება მნიშვნელობის კომპონენტის დაკარგვით და ახალი ელემენტის დამატებით), და დემოტივაციის პროცესს. ლექსიკალიზაციის მოვლენით სტრუქტურები კარგავენ თავის კომპლექსურობას. ლექსიკალიზაციის პროცესი იწყება სიტყვის შედგენისთანავე და აიხსნება მხოლოდ დიაქრონიულად.

ნაშრომში ახსნილია მორფოსემანტიკური მოტივაციის არსი, განსაზღვრულია საანალიზო კომპლექსური ლექსემების სემანტიკური გამჭვირვალობის ხარისხი, რაც გულისხმობს საანალიზო ლექსემების მნიშვნელობის გახსნა/გაგებისა და მოტივაცია/მოტივირებულობის ხარისხის განსაზღვრას თანამედროვე გერმანული ენაში. გამოიჯნულია და განხილულია ლექსიკალიზაციის, დემოტივაციისა და იდიომატიზაციის მოვლენები და შესაბამისი ცნებები სპეციალურ ლიტერატურაში წარმოდგენილი მოსაზრებების საფუძველზე (Lipka, 1977 / 1981; Günther, 1987; Eichinger, 2000; Schippan, 2002; Nübling, Dammel, Duke & Szczepaniak, 2017; და სხვ.). საილუსტრაციო საანალიზო პრაქტიკულ მასალაზე დაყრდნობით წარმოდგენილია აღნიშნული ენობრივი პროცესები და მათი ურთიერთკავშირი, გამოკვეთილია კომპლექსური ლექსემების სემანტიკური გამჭვირვალობის დაკარგვის გამოწვევი მიზეზები. კვლევა ეფუძნება ცნობილ ენათმეცნიერთა: ლ. ლიპკას, ჰ. გიუნთერის, ლ.მ. აიხინგერის, თ. შიპანის, დ. ნიუბლინგერის, ს. ცეცეპანიაკის, ვ. ფლაიშერი/ი. ბარცის, ჰ.ი. ჰერინგერის, მ. ლოდეს და სხვათა შრომებს, მათ მიერ შემუშავებულ თეორიულ-მეთოდოლოგიურ პრინციპებს. საკვლევი ინვენტარი მოძიებული და გაანალიზებულია გერმანულენოვანი ლექსიკოგრაფიული წყაროებიდან.

შემდგომში წარმოვადგენთ კვლევისათვის მნიშვნელოვანი ცნება-ტერმინების განმარტებებს.

მეთოდები. გამოყენებულია, ერთი მხრივ, მორფოლოგიურ-სემანტიკური ანალიზის, სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზის, უშუალო შემადგენელთა ანალიზის, მეორე მხრივ - ისტორიულ-ეტიმოლოგიური ანალიზის მეთოდები.

შედეგები და მსჯელობა. ენაში მორფოლოგიურად მარტივი სიტყვების გვერდით ფუნქციონირებენ კომპლექსური (შედგენილი) სიტყვები, რომლებიც წარმოქმნის დროს მორფოლოგიურად და სემანტიკურად გამჭვირვალე (ტრანსპარენტული) სტრუქტურებია. მარტივი სიტყვები არამოტივირებულია (დე სოსიურის ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის / არბიტრალურობის პრინციპი), კომპლექსური სიტყვები კი - მოტივირებული (Saussure, 1931/2001: 156f.).

კომპლექსური სიტყვა არის მოტივირებული (ან კომპოზიციონალური), როდესაც მისი მნიშვნელობის გახსნა (დეკოდირება) შესაძლებელია სიტყვის შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობის საფუძველზე. წიგნში Metzler Lexikon Sprache ვკითხულობთ:

„მოტივირებულობა (ასევე: მოტივაცია, გამჭვირვალეობა) არის სიტყვაწარმოებითი პროდუქტის მნიშვნელობის გახსნის ხარისხი მისი შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობის საფუძველზე: თუ ვიცით კონსტიტუენტების მნიშვნელობა, ვიცით ასევე სიტყვაწარმოებითი პროდუქტისაც; შდრ. ე. წ. Frege-Prinzip (ასევე: კომპოზიციურობის პრინციპი)¹. ლექსიკალიზაციის პროცესს მოსდევს სიტყვის სემანტიკური ცვლილებები, ბოლოს - დამოუკიდებელი სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობები, რომლებიც ხშირად კონსტიტუენტების მნიშვნელობის საფუძველზე ინტერპრეტაციას არ ექვემდებარება, მაგ., Zeitschrift (იდიომატიზაცია).“ (Eins, W. „Motiviertheit“. In: Glück, 2016: 448f.).

თუმცა ეს საკმარისი არ არის. მორფოლოგიურად და სემანტიკურად გამჭვირვალე, ე. ი. მოტივირებული კომპლექსური ლექსემის მნიშვნელობის დადგენა შესაძლებელია უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტების მნიშვნელობისა და მათი რიგითობის (თანმიმდევრობის), ასევე კონსტიტუენტებს შორის არსებული სემანტიკური მიმართებების, ანუ შეკავშირების ტიპის საფუძველზე (Barz, Schröder, Hämmer & Poethe, 2007: 13). კომპლექსური სიტყვების მნიშვნელობის „გაგების წინაპირობად მიიღება სიტყვების სტრუქტურული და მორფოლოგიური გამჭვირვალეობა“, რომელიც მიუთითებს „ამოსავალ ერთეულებთან კავშირზე და ამით მნიშვნელობისთვის მინიშნებას გვაძლევს“, აღნიშნავს ბარცი (Barz, 2009: 635). თუ ასეთი მიმართება გამჭვირვალეა, გვაქვს მორფოსემანტიკური მოტივაცია (Barz, 2009: 634).

მაგალითად, შემდეგი კომპლექსური სიტყვების მნიშვნელობა მიიღება მათი შემადგენელი სეგმენტების მნიშვნელობის ჯამით, შდრ.: Schlafzimmer (schlafen + zimmer), Blumengarten (blume + garten), Uhrkette (uhr + kette). დეტერმინატული კომპოზიტის მეორე/მარჯვენა კომპონენტი (Grundwort / Determinatum), როგორც წესი, არა მარტო მიუთითებს სიტყვის გრამატიკულ კატეგორიებზე, არამედ აღნიშნავს რთული სიტყვის ძირითად მნიშვნელობასაც. მაშინ როდესაც პირველი/მარცხენა კომპონენტი, ანუ მსაზღვრელი (Bestimmungswort / Determinandum) განსაზღვრავს მეორე კომპონენტს და

¹ სემანტიკური პრინციპი, რომელიც ცნობილია გერმანელი ლოგიკოსის გ. ფრეგეს (G. Frege) სახელით, და რომლის თანახმადაც კომპლექსური სიტყვის ან გამოთქმის მნიშვნელობა მიიღება ლექსიკური ერთეულის შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობის კომბინაციისა და მათი შეკავშირების ტიპის საფუძველზე (Günther, H. In: Glück, 1993: 195). (აქ და შემდგომში თარგმანი ჩვენია - ლ. მ.)

სიტყვის ძირითადი მნიშვნელობის სპეციფიცირებას ახდენს. ამდენად, Blumengarten არის 'ბაღი' გარკვეული ფუნქციით, რაზედაც მიაწინებს კომპოზიტის პირველი კომპონენტი 'ყვავილები', ე. ი. 'ყვავილების ბაღი', Schlafzimmer - 'ოთახი' შესაბამისი ფუნქციით, კერძოდ, 'საძინებელი ოთახი'. ამდენად, ვიდრე კომპლექსური ლექსემა სრულად არის მოტივირებული, ე. ი. კონსტიტუენტები მორფოლოგიურად და სემანტიკურად გამჭვირვალეა, შესაბამისი სიტყვაწარმოებითი ტიპის სემანტიკის საფუძველზე შესაძლებელია სიტყვის მნიშვნელობის დეკოდირება. კომპლექსური სიტყვის მოტივირებულობის ხარისხის დადგენა შესაძლებელია სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობისა და მოტივაციური მნიშვნელობის საფუძველზე (იხ. Fleischer & Barz, 2012: 44f.).

„ეს რელატიური მოტივაცია თუ მოტივირებულობა არ არის აბსოლუტური მახასიათებელი, არამედ ის აღნიშნავს კონტინუუმის ერთ კიდეს, მის მეორე კიდესთან კი გვაქვს სრული იდიომატიზაცია“, წერს აიხინგერი (Eichinger, 2000: 144). სრულად მოტივირებულია კომპლექსური სიტყვა, როდესაც მისი შემადგენელი კომპონენტები სემანტიკურად გამჭვირვალეა და ამის საფუძველზე შესაძლებელია შედგენილი სიტყვის მნიშვნელობის ინტერპრეტაცია. „ამის საპირისპიროდ, სრულად იდიომატიზებულია კომპლექსური სიტყვები, სადაც თუმცა ჯერ კიდევ ფორმოზრივ სტრუქტურას ვხედავთ, მაგრამ სიტყვის სეგმენტებს უკვე აღარ აქვთ აზრობრივი კავშირი ამ სიტყვების ჩვეულებრივ მნიშვნელობასთან“, აღნიშნავს აიხინგერი (Eichinger, 2000: 144).

ლექსიკალიზაცია გრადუალური პროცესია. ოდესღაც შედგენილი კომპლექსური ლექსემები დროთა განმავლობაში მეტი ან ნაკლები ხარისხით კარგავენ თავის სინტაგმურ ხასიათს, და ჩნდება ტენდენცია, რომ კომპლექსური სიტყვა გახდეს ერთი მთლიანი ლექსიკური ერთეული თავისი სპეციფიკური შინაარსით (Lipka, 1977: 155; 1981: 120). ლექსიკალიზაციის მოვლენით ისტორიული შედგენილი სიტყვები (ერთმორფემიანი) სიმპლექსებიც კი შეიძლება გახდეს. ბარცი დეტალურად საუბრობს, თუ რომელი პრინციპებით და რა პირობებში ხდება სიტყვების ლექსიკალიზაცია (Barz, 2005: 1671). ამ ენობრივი პროცესის შედეგად წარმოქმნილი ახალი სიტყვები მკვიდრდებიან ენაში და ხდებიან ენის ლექსიკური ფონდის ნაწილი.

მაგალითად, ნაწარმოები სიტყვა ენობრივი ცვლილებების შედეგად გახდა მარტივი გაუმჭვირვალე სიტყვა, შდრ.: ძველი ზემოგერმანული (ძვ.ზგ.) *menn-isco*, (älter) *mannisco* > Mensch (Duden, 2020: 547). შედეგად ძველ ზემოგერმანულ ფორმაში (მე-8 საუკუნე) არსებული სუფიქსი სიტყვის თანამედროვე ფორმაში უკვე აღარ შეიმჩნევა. როგორც ჰერინგერი განმარტავს, ასეთ შემთხვევებში ხდება „მორფემების ინკორპორირება“ და ტრანსპარენტული, კომპოზიციურად გასაგები სიტყვებიდან წარმოიქმნება ინტრანსპარენტული (გაუმჭვირვალე) სიტყვები (Heringer, 2009: 38). „ლექსიკალიზაციაზე ვლავარაკობთ მაშინ, როდესაც სიტყვები კომპოზიციურად უკვე აღარ აიხსნება და ამდენად სემანტიკურად ინტრანსპარენტული ხდება“, წერს ჰერინგერი (Heringer, 2009: 38).

სიტყვები, როგორიცაა: Brombeere, Nachtigall, Kiefer (die), Schuster, Adler, Hexe, Junggeselle, Hochzeit, Handtuch, Geizkragen, Augenblick, heute, ისტორიულად კომპლექსური ლექსემებიდან წარმოიშვნენ, რაც ზოგიერთი სიტყვის სტრუქტურიდანაც ჩანს. მაგრამ სიტყვები, მაგალითად: Kiefer (die), Schuster, Adler, Hexe, heute დღეს უკვე აღარ დაიშლება სეგმენტებად, სიმპლექსებია. არსებითი სახელის Hexe 'ჯადოქარი, კუდიანი დედაბერი' ძველი ფორმებია: საშ.ზგ.² *hecse*, *hesse*, ძვ.ზგ. *hagzissa*, *hag[a]zus[sa]*, სიტყვის პირველ კომპონენტს სავარაუდოდ შეესაბამება Hag-ით 'ღობე, ზღუდე' წარმოდგენილი არსებითი სახელი, მეორე კომპონენტი ასევე უნდა მიეკუთვნებოდეს ნორვეგიულ დიალექტს *tyssa*

² საშ.ზგ. - საშუალო ზემოგერმანული; ძვ.ზგ. - ძველი ზემოგერმანული.

‘ელფი, ალი’ (Duden, 2020: 368); შდრ., ასევე: Kiefer (die) ‘ფიჭვი’ (მვ.ზგ. *kien-forha* ‘ფიჭვი’) (Duden, 2020: 431), Schuster ‘მეწაღე’ (< საშ.ზგ. *schuoch-sütære*, -er ‘ფეხსაცმლის მკერავი’) (Duden, 2020: 760), Adler ‘არწივი’ (< საშ. ზგ. *adel-ar[e]* ‘Edelaar’ ‘კეთილშობილი არწივი’) (Duden, 2020: 80).

ლექსიკალიზაციის მოვლენით „იკარგება კომპლექსური ლექსემების სინტაგმური ხასიათი“ „Syntagmacharakter“ (Lipka, 1981: 120f.; Schippan, 2002: 100f.), „სიტყვის თავდაპირველი კომპლექსურობა“ (Nübling, Dammel, Duke & Szczepaniak, 2017: 185). ასეთ შემთხვევებში შეუძლებელი ხდება კონსტიტუენტების მნიშვნელობის საფუძველზე სიტყვის მნიშვნელობის გაგება/დეკოდირება. მაგალითად, განვიხილოთ Junggeselle [‘noch] nicht verheirateter Mann’ ‘ბერბიჭა, დაუქორწინებელი მამაკაცი’: სიტყვის Junggeselle მნიშვნელობა არ არის მისი შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობის შესაბამისი, ანუ იგი არ გულისხმობს არც Geselle -ს ‘შეგირდი (ქარგლის)’ და არც jung -ს ‘ახალგაზრდა’. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სიტყვის მნიშვნელობა ‘დაუქორწინებელი, ბერბიჭა’ მისი კომპონენტების მნიშვნელობიდან არ მიიღება. თუმცა სიტყვა Junggeselle სტრუქტურულად, ე. ი. ფორმოზრივად ჯერ კიდევ გამჭვირვალეა, ისევე როგორც ლექსემები, მაგალითად, Hochzeit, Handschuh, Zeitschrift. მაგრამ მორფოსემანტიკური მოტივაციისათვის რელევანტურია მორფოლოგიური და სემანტიკური გამჭვირვალეობის არსებობა. განხილულმა სიტყვამ განიცადა ლექსიკალიზაცია.

ლექსიკალიზაციის მოვლენით შესაძლებელია კომპლექსურმა სიტყვამ ფორმოზრივი (ფონეტიკური ცვლილებები), და/ან სემანტიკური თვალსაზრისით დაკარგოს თავისი მოტივაცია. ეს ნიშნავს შემდეგს: დემოტივაციის დროს სიტყვის ერთი სემენტი მაინც კარგავს თავის ნიშნობრივ ხასიათს (Zeichencharakter). შესაბამისად ცვლილებას განიცდის ან შინაარსის პლანი (სემანტიკური ცვლილება) ან გამოხატვის პლანი (ფონოლოგიური ცვლილება) (Nübling, Dammel, Duke & Szczepaniak, 2017: 186). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დეტერმინატული კომპოზიტის პირველი/მარცხენა კომპონენტის (Determinandum) დემოტივაციის დროს სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა მაინც გასაგებია, რადგან, როგორც ითქვა, მეორე/მარჯვენა კომპონენტი (Determinatum) კომპოზიტის სემანტიკურ ბაზისს წარმოადგენს. მაგალითად, სიტყვის Brombeere ‘მაყვალი’ (საშ.ზგ. *brâm-ber* ‘მაყვალი’, საშ.ზგ. *brâme*, მვ.ზგ. *brâma* ‘ეკლის ბუჩქი’) მნიშვნელობის დეკოდირება შესაძლებელია მეორე კომპონენტის საფუძველზე (Beere ‘კენკრა’), თუმცა სიტყვის პირველი კომპონენტი სემანტიკურად გაუმჭვირვალე უნიკალური მორფემაა (რადგან ელემენტი გვხვდება მხოლოდ დასახელებულ კომპლექსურ სიტყვაში და მისი შესატყვისი მარტივი სიტყვა დღეს ენიდან არის დაკარგული). კომპოზიტის მეორე/მარჯვენა კომპონენტის დემოტივაციის შემთხვევაში კი კომპლექსური სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა უკვე აღარ არის გასაგები. ამიტომ სიტყვების, მაგ., Geizkragen ‘ბუნწი’, Kindergarten ‘საბავშვო ბაღი’, Stirnbein ‘შუბლის ძვალი’ მნიშვნელობა გაუგებარია, შდრ. Geiz-kragen (არ არის ‘საყელო’), Kinder-garten (არ არის ‘ბაღი’), Stirn-bein (არ არის ‘ფეხი’). როგორც დავინახეთ, კომპლექსურმა სიტყვებმა ლექსიკალიზაციის მოვლენით დაკარგეს თავდაპირველი მოტივაცია და ენაში ახალ ლექსიკურ ერთეულებად დამკვიდრდნენ.

დავუბრუნდეთ მოვლენას, როდესაც ცვლილებას განიცდის სიტყვის შინაარსის პლანი (სემანტიკური ცვლილება). დემოტივაცია არ გულისხმობს კომპლექსური სიტყვის სტრუქტურული ანალიზის (სემენტებად გამოწვევების) შეზღუდვას (Lipka, 1981: 121). სიტყვა Uhrmacher ‘მესაათე’ გერმანულ ენაში უკვე აღარ არის სრულად მოტივირებული, დღეს ის დემოტივირებული ლექსემაა. თუმცა სიტყვაში კომპონენტების გამოწვევება შეიძლება, მაგრამ მისი მნიშვნელობა ბოლომდე არ შეესაბამება კომპონენტების მნიშვნელობის ჯამს, რადგან ამ პროფესიის ადამიანს შეუძლია შეაკეთოს საათები, მაგრამ

იგი არ არის ვალდებული აწარმოოს საათები³. დემოტივაცია ამ შემთხვევაში მოხდა იდიომატიზაციის შედეგად, რაც ხდება ახალი იდიოსინკრატული მნიშვნელობის ელემენტის გაჩენით (Nübling, Dammell, Duke & Szczepaniak, 2017: 186). მნიშვნელობის ელემენტი იდიოსინკრატულია, ეს ნიშნავს: თითოეული კომპოზიტისათვის სპეციფიკურია, და რომ სემანტიკურ სხვაობას სიტყვის მოტივაციურ მნიშვნელობასა და ლექსიკურ მნიშვნელობას შორის იდიოსინკრატული ელემენტი წარმოადგენს, შენიშნავს კეგე (Käge, 1980: 15, 20).

კომპლექსური სიტყვა Stirnbein 'შუბლის ძვალი' ასევე დემოტივირებული (ნაწილობრივ მოტივირებული) ლექსემაა, რადგან სიტყვის მეორე კომპონენტის შესაბამისმა მარტივმა სიტყვამ Bein 'ფეხი' განიცადა სემანტიკური ცვლილება (მდრ. საერთოგერმანიული სიტყვის ძველი ფორმები: საშ.ზგ., ძვ.ზგ. *bein* 'Knochen' 'ძვალი', Duden, 2020: 136). მაგრამ კომპოზიტმა ძველი მნიშვნელობა შეინარჩუნა. თუმცა განხილული სიტყვა დღეს სტრუქტურულად გამჭვირვალეა, მაგრამ დემოტივაციის ხარისხი მაინც მაღალია. საერთოდ ანატომიურ რთულ სიტყვებში, როგორიცაა: Nasen-, Hüftbein; ასევე Fischbein, Elfenbein etc. დარჩა სიტყვის ძველი მნიშვნელობა 'ძვალი' (Duden, 2020: 136).

ლინგვისტიკაში ტერმინების ლექსიკალიზაცია, იდიომატიზაცია, დემოტივაცია გამოიწვეს არ არის ცალსახა. ზოგიერთი ავტორი მათ განიხილავს როგორც სინონიმებს (Kastovsky, 1981), ზოგჯერ კი მათ შორის სისტემურ განსხვავებულობაზე მიუთითებენ (Günther, 1974: 36f.; Lipka, 1977, 1981). ლექსიკალიზაცია ლიპკას განმარტებით არის მოვლენა, რომლის დროსაც კომპლექსური ლექსემების ხშირი ხმარების გამო ჩნდება ტენდენცია, რომ ასეთი შედგენილი სიტყვა გახდეს ერთი (მთელი) ლექსიკური ერთეული თავისი სპეციფიკური შინაარსით. „ლექსიკალიზაციის მოვლენით კომპლექსური სიტყვის სინტაგმური ხასიათი მეტ-ნაკლებად იკარგება“, წერს ლიპკა (Lipka, 1977: 155; 1981: 120; მსგავსად: Schippan, 2002: 100). იდიომატიზაცია გულისხმობს კომპლექსური სიტყვის სინტაგმების სემანტიკური ცვლილების პროცესს. იდიომატიზაცია ხშირად არის ლექსიკალიზაციის მოვლენის შედეგი/რეზულტატი (Lipka, 1981: 121; Schippan, 2002: 100f.). დემოტივაციისა და იდიომატიზაციის მოვლენებს ლიპკა განიხილავს როგორც ლექსიკალიზაციის ასპექტებს, რომლებიც შეიძლება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გამოვლინდეს (Lipka, 1981: 121).

გიუნთერი კომპლექსურ ლექსემებს, რომლებმაც ფორმოზრივი და/ან სემანტიკური ცვლილებებით დაკარგეს თავისი მოტივაცია, განიხილავს როგორც ლექსიკალიზაციის მოვლენის შედეგს და გამოყოფს შემდეგ ტიპებს, ესენია: ა) უზუალური შედგენილი სიტყვები, რომელთა ანალიზი უნარჩენოდ არის შესაძლებელი, მაგ., Haustür 'სახლის გარეთა კარი'; ბ) დემოტივირებული სტრუქტურები, რომლებიც უნიკალური მორფემის გამო სინქრონიულ დონეზე უნარჩენოდ ანალიზს აღარ ექვემდებარება, მაგ., paus-bäckig 'მრგვალოცხვილი'; გ) იდიომატიზებული სტრუქტურები, როდესაც კომპლექსური სიტყვის მნიშვნელობა უკვე აღარ გადმოიცემა სიტყვის შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობის საფუძველზე, მაგ., Reiß-zwecke 'საკანცელარიო ჭიკარტი'; დ) კომპლექსური სიტყვები, რომლებიც იდიომატიზებული და ამასთან დემოტივირებულია, მაგ.: Schornstein 'საკვამური (ბუხრის)' (Günther, 1987: 188ff.; Günther, H., Schaefer, B. In: Glück 1993: 363f., მაგალითები ავტორისა).

ნაწილობრივ მოტივირებული ლექსემებია ე.წ. უნიკალური მორფემით (სემანტიკურად გაუმჭვირვალე ელემენტი) შედგენილი სიტყვები, როგორიცაა Nacht-igall, Sams-tag, Maul-tier, Lind-wurm, Leich-nam, Un-flat, Ferk-el etc. მაგალითად, Nachtigall 'ღამის მგალობელი, ბუღბუღი' (ძველი ფორმები: საშ.ზგ. *nahtegal*, ძვ.ზგ. *nahtgala*)

³ მაგალითი ავტორისა, Nübling, Dammell, Duke & Szczepaniak, 2017: 186.

მოტივირებულია მხოლოდ პირველი კომპონენტით (*nacht* 'ღამე'). სიტყვის მეორე კომპონენტი *-(i)gall* (რასაც შეესაბამება დასავლეთგერმანიკული *galōn* „მომღერალი“) უნიკალური მორფემაა, რომელიც ნაწარმოებია დღეს ენიდან დაკარგული ზმნიდან, ძვ.ზგ. *galan* 'მომაჯადოებლად მღერა (მღერის)' (Duden, 2020: 574); სხვა მაგალითი: არსებითი სახელი *Unflat* 'ჭუჭყი, უსუფთაობა' (საშ.ზგ. *unvlāt*) ნაწარმოებია უარყოფითი პრეფიქსით *un-* და არსებითი სახელით, საშ.ზგ. *vlāt*, ძვ.ზგ. *flāt* 'სისუფთავე, სილამაზე' (Duden, 2020: 886); წარმოდგენილი სიტყვები მოტივირებულია მხოლოდ პირველი შემადგენელი კონსტიტუენტებით (*nacht*, *un-*). სიტყვების მეორე შემადგენელი ელემენტები *-(i)gall* (*-i-* ისტორიული მაკავშირებელი ელემენტი) და *-flat* თანამედროვე გერმანულ ენაში სემანტიკურად გაუმჭირვალე უნიკალური მორფემებია. ამ ელემენტების შესატყვისი მარტივი სიტყვები ენიდან არის დაკარგული. როგორც ზემოთ ითქვა, კომპოზიტის მეორე კომპონენტის დემოტივაციის შემთხვევაში კომპლექსური სიტყვის მნიშვნელობის გაგება შესაძლებელია მხოლოდ ნაწილობრივ, ზოგჯერ კი თითქმის გაუგებარია. დემოტივაციის ხარისხი უფრო მაღალია.

ნაწილობრივ მოტივირებულ ლექსემებად განიხილება ასევე ისეთი დემოტივირებული სტრუქტურები, სადაც ერთი კომპონენტი მხოლოდ ფორმოზრევად შეესაბამება თავისუფლად ფუნქციონირებად სიტყვას, მაგრამ არა სემანტიკურად, მაგალითად, *Handtuch* 'ხელსახოცი' (ვიმშრალეზთ არა მხოლოდ ხელებს, არამედ სახესაც), *Tischler* 'დურგალი' (რომელიც ამზადებს არა მარტო მაგიდებს, არამედ ხის სხვა საგნებსაც), *Geizkragen* 'ძუნწი', *Volksmusik* შდრ. *Volk* 'ხალხი', და სხვ.

ზემოთ განხილული სიტყვის *Junggeselle* კომპონენტები, როგორც ითქვა, სტრუქტურულად სეგმენტირებადია, თუმცა სიტყვის მნიშვნელობა არ იწარმოება მისი შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობის საფუძველზე. სიტყვა არის სრულად დემოტივირებული. არსებითი სახელი *Junggeselle* გერმანულ ენაში დამოწმებულია მე-15 საუკუნიდან თავდაპირველად მნიშვნელობით 'junger Handwerksbursche', შემდეგ კი '[junger] unverheirateter Mann' (Duden, 2020: 405). ეს ნიშნავს, რომ სიტყვის მნიშვნელობამ განიცადა ცვლილება: 'ხელოსნის/ქარგლის ახალგაზრდა შეგირდი' > 'ახალგაზრდა დაუქორწინებელი მამაკაცი' > და ბოლოს 'დაუქორწინებელი მამაკაცი'. სემანტიკური ცვლილება მოხდა მნიშვნელობის ელემენტის დაკარგვით და დამატებითი იდიოსინკრატული კომპონენტის წარმოქმნით, რაც სიტყვის შემადგენელი სეგმენტების მნიშვნელობიდან არ დგინდება. ასეთი სიტყვები თავისი ფორმოზრევი კომპლექსურობის მიუხედავად სინქრონიული თვალთახედვით არამოტივირებულია.

იდიომატიზაციის დროს, მიუხედავად კომპლექსური სიტყვების ფორმოზრევი სტრუქტურისა, მოტივირებულობა ისეა გაბუნდოვნებული, რომ ცალკეულ სეგმენტებსა და სიტყვის საერთო მნიშვნელობას შორის სემანტიკური კავშირი აღარ შეიმჩნევა (Lohde, 2006: 29; Eichinger, 2000: 144). სრული დემოტივაცია/იდიომატიზაცია გვაქვს კომპლექსურ სიტყვებში, მაგალითად: *Taschentuch*, *Hochzeit*, *Augenblick*, *Löwenzahn*, *Ohrfeige*, *Steckenpferd*; ასევე დერივატებში, რომლებიც შედგენილია სემანტიკურად გაბუნდოვნებული ბაზისებით, მაგალითად, *Mädchen*, *Zeitung*, *behaupten* და სხვ. მაგალითად, შემდეგი სიტყვები *Augenblick* ('sehr kurzer Zeitraum' 'მომენტი, ძალიან მოკლე დროის მონაკვეთი'), *Ohrfeige* ('Schlag mit der Hand auf jmds. Backe' 'სილა, ლოყაზე ხელის გარტყმა'), *Steckenpferd* ('Liebhaberei, der jmd. seine freie Zeit widmet' 'საქმიანობა ან თემა, რითაც ადამიანი სიამოვნებით კავდება თავისუფალ დროს') ისტორიულად დეტერმინატული კომპოზიტებია. ამასთან, სიტყვებში *Augenblick*, *Ohrfeige*, *Löwenzahn* კომპონენტებს შორის გვაქვს მეტაფორული მიმართებები, მაგრამ სიტყვაში *Steckenpferd* ასეთი მიმართებები აღარ არის. ამდენად, იდიომატიზაციის მოვლენით კომპლექსური სიტყვის სეგმენტები კარგავენ სემანტიკურ კავშირს დამოუკიდებლად ფუნქციონირებად შესატყვის მარტივ სიტყვებთან, შესაბამისად თავისუფალ მორფემებთან (ვრცლად: Machwiladse: 2016).

ზოგჯერ სპეციფიკური შინაარსის შედგენილ სიტყვებს მნიშვნელობის შესაძლებელი რამდენიმე ვარიანტი შეესაბამება და კონტექსტის გარეშე სიტყვის მნიშვნელობის გაგებისთვის არ არის საკმარისი მისი ცალკეული კომპონენტების მნიშვნელობის ცოდნა. მაგალითად, ჰერინგერი წარმოადგენს სიტყვისთვის *Fischfrau* თორმეტ ინტერპრეტაციას, შდრ., *Fischfrau* შეიძლება გაიგებოდეს როგორც, მაგ.: ‘Frau, die Fische verkauft’ (‘ქალი, რომელიც თევზს ყიდის’; ‘Frau, die im Sternbild der Fische geboren ist’ (‘თევზების თანავარსკვლავედის ნიშნით დაბადებული ქალი’); ‘Frau und Fisch’ (= Nixe, მით. ნიმფა, ალი [ქალთევზა]); ‘Frau, die ein Fischgesicht hat’ (‘ქალი, რომელიც თევზს წააგავს’, და სხვ. (Heringer: 1984). „თუ მათ კონტექსტიდან დამოუკიდებლად განვიხილავთ, შეიძლება რამდენიმე ნაწილობრივ განსხვავებული მნიშვნელობაც ჰქონდეს“, წერს ველმანი (Wellmann, 1998: 418). ასეთი „კონტექსტური“ თუ „ტექსტური სიტყვების“ ანალიზი შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ კონტექსტიდან გამომდინარე და, შესაბამისად, იგი წარმოადგენს ტექსტის ლინგვისტიკის საკითხს (H. Weinrich) (Wellmann, 1998: 418).

მოტივირებული და სრულად დემოტივირებული/იდიომატიზებული ლექსემები არ არიან მკვეთრად გამოჩენილი, არამედ პოლუსებს შორის არის ე. წ. „ფართო გარდამავალი/შუალედური ზონა“ (Holst, 1974: 66) შესაბამისი გრადაციით. კომპლექსური სიტყვების განსხვავებული „მოტივირებულობის ხარისხის“ („Grade der Motiviertheit“, Schippan, 2002: 101) გათვალისწინებით გავრცელებულია სამსაფეხურიანი სკალა შესაბამისი პუნქტებით: „სრულად მოტივირებული“ ან „გამჭვირვალე“ („vollmotiviert“, „durchsichtig“), „ნახევრად/ნაწილობრივ მოტივირებული“, ან „ნაწილობრივ გამჭვირვალე“ („halbmotiviert“/ „teilmotiviert“, „z. T. durchsichtig“), „დემოტივირებული“, „არამოტივირებული, გაუმჭვირვალე“ ან „იდიომატიზებული“ („demotiviert“, „undurchsichtig“ oder „idiomatisiert“) (Holst, 1974: 72ff.; Käge, 1980: 12f.; Naumann, 2000: 36; Lohde, 2006: 28f; Fleischer & Barz, 2012: 45; Altmann, 2011: 19f).

მოტივაციურობასა და იდიომატიზაციას შორის პოლარულობის საილუსტრაციოდ ფლაიშერი (Fleischer, 1976: 13) წარმოადგენს ნომინალურ სიტყვათა რიგს მოტივირებულობის ხარისხის კლებადი ტენდენციით და იდიომატიზაციის ხარისხის გაძლიერებით, შდრ.: Diskussionsbeitrag - Morgenhimmel - Jahresdurchschnitt - Nachtarbeit - Großstadt - Augenblick (შდრ. ასევე: Naumann, 2000: 37).

სკალის ბოლოს იკავებენ ადგილს ისეთი ლექსემები, რომლებშიც უკვე აღარ შეიმჩნევა ისტორიული კომპლექსურობა, რადგან სიტყვების შემადგენელი ელემენტები ერთმანეთს შეერწყნენ, მაგალითად ზემოთ განხილული სიტყვები: Schuster, Kiefer (die), Adler, Hexe, heute, Welt, Grum(me)t და სხვ. ფლაიშერი და ბარცი განმარტავენ, რომ „გადაწევა კომპოზიტიდან სიმპლექსისაკენ“ ხორციელდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში უმახვილო ან სუსტმახვილიანი კომპონენტების შემოკლების ან შემცირების გზით, შდრ., მაგ., Nachbar (საშ.ზგ. *nächgebüre*) ‘მეზობელი’, Grum(me)t (საშ.ზგ. *gruonmāt* ‘zweite Mahd des Grases’ ‘ბალახის მეორე მოთიბვა’, Welt ‘მსოფლიო, სამყარო, ქვეყნიერება’ (ძვ.ზგ. *weralt* ‘Zeit-, Mannesalter’) (Fleischer, 1976: 61; Fleischer & Barz, 2012: 129). ისტორიული სიტყვაწარმოება საუბრობს როგორც გაბუნდოვნებულ რთულ სიტყვებზე; თანამედროვე ენის სინქრონიული აღწერით ასეთი ლექსემები განიხილება როგორც სიმპლექსები (Fleischer & Barz, 2012: 129). (გაბუნდოვნებული რთული სიტყვების სემანტიკური და მორფოლოგიური ცვლილებების (დინამიკა), შესაბამისად კომპოზიტიდან სიმპლექსისკენ გადაწევის პროცესების შესახებ, იხ. ვრცლად მახვილაძე, 2016).

დასკვნები: კომპლექსური სიტყვა არის მოტივირებული (ან კომპოზიციონალური), როდესაც მისი მნიშვნელობის გაგება (დეკოდირება) შესაძლებელია შემადგენელი ნაწილების/კომპონენტების მნიშვნელობის საფუძველზე. ზოგჯერ მოტივირებული სიტყვები დროთა განმავლობაში განიცდიან ცვლილებებს.

ნაშრომში შესწავლილია ლექსიკალიზაციის, დემოტივაციისა და იდიომატიზაციის მოვლენები. ლექსიკალიზაცია გრადუალური პროცესია. ამ მოვლენით ოდესღაც შედგენილი კომპლექსური ლექსემები დროთა განმავლობაში კარგავენ თავის სინტაგმურ ხასიათს და შესაძლებელია (ერთმორფემიანი) სიმპლექსებიც კი გახდნენ, რომელიც ანალიზს აღარ ექვემდებარება. ლექსიკალიზაციის მოვლენით შესაძლებელია კომპლექსურმა სიტყვამ ფონოლოგიური და/ან სემანტიკური ცვლილებებით დაკარგოს თავისი მოტივაცია. დემოტივაცია ასევე გრადუალური პროცესია. სრულად დემოტივირებული/იდიომატიზებული ლექსემები თუმცა ფორმოზრევად გამჭვირვალე სტრუქტურებია, მაგრამ სიტყვის მნიშვნელობა ბოლომდე არ შეესაბამება სემანტების მნიშვნელობის ჯამს. იდიომატიზაციის მოვლენით კომპლექსური სიტყვის სემანტები კარგავენ აზრობრივ კავშირს შესატყვის მარტივ სიტყვასთან, შესაბამისად თავისუფალ მორფემასთან. ამ დროს ხდება იდიოსინკრატული მნიშვნელობის კომპონენტის დამატება. ნაშრომში განხილული საილუსტრაციო საანალიზო პრაქტიკულ მასალაზე დაყრდნობით წარმოდგენილია და გამიჯნული აღნიშნული ენობრივი პროცესები და მათი ურთიერთკავშირი. გამოკვეთილია კომპლექსური ლექსემების სემანტიკური გამჭვირვალობის დაკარგვის გამომწვევი მიზეზები.

გამოყენებული ლიტერატურა

- მახვილაძე, ლ. (2016). სემანტიკური გაუმჭვირვალობის საკითხი სინქრონიულ დონეზე არასემანტიკურად გაზუნდოვნებულ რთულ სიტყვებში. *გსსუ მერვე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის "განათლება XXI საუკუნეში" სამეცნიერო შრომათა კრებული*. თბილისი: ჯეოპრინტი. გვ. 505-510.
- Altmann, H. (2011). *Prüfungswissen Wortbildung* (3., durchges. Aufl.). Vandenhoeck & Ruprecht: Göttingen.
- Barz, I. (2005). Die Wortbildung als Möglichkeit der Wortschatzerweiterung. In: Cruse, D. A. / Hundsnurscher, Fr. / Job, M. / Lutzeier, P. R. (Hg.). In: *Lexikologie/Lexicology. Ein internationales Handbuch zur Natur und Struktur von Wörtern und Wortschätzen*. 2. Hbd. Walter de Gruyter: Berlin, et al. S. 1664-1676.
- Barz, I. (2009). Die Wortbildung. In: Duden (Hg.), *Duden. Die Grammatik. Unentbehrlich für richtiges Deutsch*. 8., überarb. Aufl., Bd. 4. Dudenverlag: Mannheim, et al. S. 634-762.
- Barz, I., Schröder, M., Hämmer, K. & Poethe, H. (2007). *Wortbildung - praktisch und integrativ. Ein Arbeitsbuch* (4., überarb. Aufl.). Lang: Frankfurt a. M.
- Duden (2020). *Das Herkunftswörterbuch. Etymologie der deutschen Sprache*. 4., neu bearb. Auflage. Hrsg. von der Dudenredaktion. B.7. Dudenverlag: Mannheim, Zürich.
- DUW = *Duden. Deutsches Universalwörterbuch*. (2001). 4. neu bearb. und erw. Aufl. Mannheim, et al.
- Eichinger, L. M. (2000). *Deutsche Wortbildung. Eine Einführung*. Gunter Narr Verlag: Tübingen.
- Fleischer W. (1976). *Wortbildung der deutschen Gegenwartssprache*. 4., durchges. Aufl. VEB Bibliographisches Institut: Leipzig.
- Fleischer, W. & Barz, I. (2012). *Wortbildung der deutschen Gegenwartssprache*. 4. Aufl.; völlig neu bearb. von Irmhild Barz unter Mitarbeit von M. Schröder. De Gruyter: Berlin.
- Glück, H. (Hg.) (1993). *Metzler Lexikon Sprache*. J. B. Metzler: Stuttgart, et al.
- Glück, H. & Rödel, M. (Hg.). (2016). *Metzler Lexikon Sprache*. (5., aktual. und überarb. Aufl.). Stuttgart et al.: J. B. Metzler.
- Günther, H. (1974). Das System der Verben mit BE- in der deutschen Sprache der Gegenwart. Ein Beitrag zur Struktur des Lexikons der deutschen Grammatik. Tübingen: Max Niemeyer.
- Günther, H. (1987). Wortbildung, Syntax, be-Verben und das Lexikon. In: Fromm, H., Ganz, P. & Reis, M. (Hg.), *Beiträge zur Geschichte der deutschen Sprache und Literatur*. Tübingen: Max Niemeyer. S. 179-201.
- Henzen, W. (1965). *Deutsche Wortbildung* (3., durchges. u. erg. Aufl.). Max Niemeyer: Tübingen.

- Heringer, H. J. (1984). Wortbildung: Sinn aus dem Chaos. In: Steger, H. / Leys, O. / Stickel, G. / Schwitalla, J. (Hg.), *Deutsche Sprache. Zeitschrift für Theorie, Praxis, Dokumentation*. 12. Jahrgang, Heft 1, Erich Schmidt Verlag: Berlin. S. 1-13.
- Heringer, H. J. (2009). Morphologie. Wilhelm Fink Verlag: Paderborn.
- Holst, Fr. (1974). *Untersuchungen zur Wortbildungstheorie mit besonderer Berücksichtigung der Adjektive auf -gerecht im heutigen Deutsch*. (Dissertation). Universität Hamburg.
- Käge, O. (1980). *Motivation: Probleme des persuasiven Sprachgebrauchs der Metapher und des Wortspiels*. Kümmerle: Göppingen.
- Kastovsky, D. (1981). *Wortbildung und Semantik*. Francke Verlag: Düsseldorf/Bern.
- Kluge, F. (2002). *Etymologisches Wörterbuch der deutschen Sprache* (Bearb. von E. Seebold, 24., durchges. u. erw. Aufl.). de Gruyter: Berlin.
- Lipka, L. (1977). Lexikalisierung, Idiomatisierung und Hypostasierung als Probleme einer synchronischen Wortbildungslehre. In: Brekle, H. E. / Kastovsky, D. (Hg.), *Perspektiven der Wortbildungsforschung*. Bouvier: Bonn. S. 155-764.
- Lipka, L. (1981). Zur Lexikalisierung im Deutschen und Englischen. In: Lipka, L. / Günther, H. (Hg.), *Wortbildung*. Wissenschaftliche Buchgesellschaft: Darmstadt. S. 119-132.
- Lohde, M. (2006). *Wortbildung des modernen Deutschen. Ein Lehr- und Übungsbuch*. Tübingen: Gunter Narr.
- Machwiladse, L. (2016). Demotivation, Desemantisierung, Idiomatisierung in der deutschen Wortbildung. In: Colliander, P. / Drumbel, H. / Höhmann, D. / Ivanenko, S. / Knorr, D. / Moraldo, S. (Hg.) *Linguistische Grundlagen für den Sprachunterricht*. Bd. 5. Konferenzbeiträge IDT 2013. University Press: Bozen-Bolzano. S. 175-189.
- Naumann, B. (2000). *Einführung in die Wortbildungslehre des Deutschen*. 3., neubearb. Auflage. Tübingen: Max Niemeyer.
- Nübling, D., Dammel, A., Duke, J. & Szczepaniak, R. (2017). *Historische Sprachwissenschaft des Deutschen. Eine Einführung in die Prinzipien des Sprachwandels*. 5., aktual. Aufl., Narr Francke Attempto Verlag: Tübingen.
- Saussure, F. de (1931/2001). *Grundfragen der allgemeinen Sprachwissenschaft*. (Bally, C. / Sechehaye, A. Hg., Lommel H., Übers., 3. Aufl.). de Gruyter: Berlin, et al.
- Schippan, Th. (2002). *Lexikologie der deutschen Gegenwartssprache*. 2. Aufl. Niemeyer: Tübingen.
- Wellmann, H. (1998). Die Wortbildung. In *Duden*: Bd. 4. *Grammatik der deutschen Gegenwartssprache* (6., neu bearb. Aufl.). Dudenverlag: Mannheim. S. 408-557.

REFERENCES

- Makhviladze, L. (2016). semant'ik'uri gaumch'virvalobis sak'itkhi sinkroniul doneze arasegment'irebad gabundovnebul rtul sit'qvebshi. [A Question of Semantic Opacity in Synchronically Non-Segmented Opaque Complex Words]. *gssu merve saertashoriso sametsniero k'onperentsiis "ganatleba XXI sauk'uneshi" sametsniero shromata k'rebuli* [In: "Education in the XXI Century". *Papers of the Eighth International Scientific Conference of GSTU*], Tbilisi: Geoprint, pp. 505-510.
- Altmann, H. (2011). *Prüfungswissen Wortbildung* (3., durchges. Aufl.). Vandenhoeck & Ruprecht: Göttingen.
- Barz, I. (2005). Die Wortbildung als Möglichkeit der Wortschatzerweiterung. In: Cruse, D. A. / Hundsnurscher, Fr. / Job, M. / Lutzeier, P. R. (Hg.). In: *Lexikologie/Lexicology. Ein internationales Handbuch zur Natur und Struktur von Wörtern und Wortschätzen*. 2. Hbd. Walter de Gruyter: Berlin, et al. S. 1664-1676.
- Barz, I. (2009). Die Wortbildung. In: Duden (Hg.), *Duden. Die Grammatik. Unentbehrlich für richtiges Deutsch*. 8., überarb. Aufl., Bd. 4. Dudenverlag: Mannheim, et al. S. 634-762.
- Barz, I., Schröder, M., Hämmer, K. & Poethe, H. (2007). *Wortbildung - praktisch und integrativ. Ein Arbeitsbuch* (4., überarb. Aufl.). Lang: Frankfurt a. M.
- Duden (2020). *Das Herkunftswörterbuch. Etymologie der deutschen Sprache*. 4., neu bearb. Auflage. Hrsg. von der Dudenredaktion. B.7. Dudenverlag: Mannheim, Zürich.

- DUW = *Duden. Deutsches Universalwörterbuch*. (2001). 4. neu bearb. und erw. Aufl. Mannheim, et al.
- Eichinger, L. M. (2000). *Deutsche Wortbildung. Eine Einführung*. Gunter Narr Verlag: Tübingen.
- Fleischer W. (1976). *Wortbildung der deutschen Gegenwartssprache*. 4., durchges. Aufl. VEB Bibliographisches Institut: Leipzig.
- Fleischer, W. & Barz, I. (2012). *Wortbildung der deutschen Gegenwartssprache*. 4. Aufl.; völlig neu bearb. von Irmhild Barz unter Mitarbeit von M. Schröder. De Gruyter: Berlin.
- Glück, H. (Hg.) (1993). *Metzler Lexikon Sprache*. J. B. Metzler: Stuttgart, et al.
- Glück, H. & Rödel, M. (Hg.). (2016). *Metzler Lexikon Sprache*. (5., aktual. und überarb. Aufl.). Stuttgart et al.: J. B. Metzler.
- Günther, H. (1974). Das System der Verben mit BE- in der deutschen Sprache der Gegenwart. Ein Beitrag zur Struktur des Lexikons der deutschen Grammatik. Tübingen: Max Niemeyer.
- Günther, H. (1987). Wortbildung, Syntax, be-Verben und das Lexikon. In: Fromm, H., Ganz, P. & Reis, M. (Hg.), *Beiträge zur Geschichte der deutschen Sprache und Literatur*. Tübingen: Max Niemeyer. S. 179-201.
- Henzen, W. (1965). *Deutsche Wortbildung* (3., durchges. u. erg. Aufl.). Max Niemeyer: Tübingen.
- Heringer, H. J. (1984). Wortbildung: Sinn aus dem Chaos. In: Steger, H. / Leys, O. / Stickel, G. / Schwitalla, J. (Hg.), *Deutsche Sprache. Zeitschrift für Theorie, Praxis, Dokumentation*. 12. Jahrgang, Heft 1, Erich Schmidt Verlag: Berlin. S. 1-13.
- Heringer, H. J. (2009). Morphologie. Wilhelm Fink Verlag: Paderborn.
- Holst, F. (1974). *Untersuchungen zur Wortbildungstheorie mit besonderer Berücksichtigung der Adjektive auf -gerecht im heutigen Deutsch*. (Dissertation). Universität Hamburg.
- Käge, O. (1980). *Motivation: Probleme des persuasiven Sprachgebrauchs der Metapher und des Wortspiels*. Kümmerle: Göppingen.
- Kastovsky, D. (1981). *Wortbildung und Semantik*. Francke Verlag: Düsseldorf/Bern.
- Kluge, F. (2002). *Etymologisches Wörterbuch der deutschen Sprache* (Bearb. von E. Seebold, 24., durchges. u. erw. Aufl.). de Gruyter: Berlin.
- Lipka, L. (1977). Lexikalisierung, Idiomatisierung und Hypostasierung als Probleme einer synchronischen Wortbildungslehre. In: Brekle, H. E. / Kastovsky, D. (Hg.), *Perspektiven der Wortbildungsforschung*. Bouvier: Bonn. S. 155-764.
- Lipka, L. (1981). Zur Lexikalisierung im Deutschen und Englischen. In: Lipka, L. / Günther, H. (Hg.), *Wortbildung*. Wissenschaftliche Buchgesellschaft: Darmstadt. S. 119-132.
- Lohde, M. (2006). *Wortbildung des modernen Deutschen. Ein Lehr- und Übungsbuch*. Tübingen: Gunter Narr.
- Machwiladse, L. (2016). Demotivation, Desemantisierung, Idiomatisierung in der deutschen Wortbildung. In: Colliander, P. / Drumbl, H. / Höhmann, D. / Ivanenko, S. / Knorr, D. / Moraldo, S. (Hg.) *Linguistische Grundlagen für den Sprachunterricht*. Bd. 5. Konferenzbeiträge IDT 2013. University Press: Bozen-Bolzano. S. 175-189.
- Naumann, B. (2000). *Einführung in die Wortbildungslehre des Deutschen*. 3., neubearb. Auflage. Tübingen: Max Niemeyer.
- Nübling, D., Dammel, A., Duke, J. & Szczepaniak, R. (2017). *Historische Sprachwissenschaft des Deutschen. Eine Einführung in die Prinzipien des Sprachwandels*. 5., aktual. Aufl., Narr Francke Attempto Verlag: Tübingen.
- Saussure, F. de (1931/2001). *Grundfragen der allgemeinen Sprachwissenschaft*. (Bally, C. / Sechehaye, A. Hg., Lommel H., Übers., 3. Aufl.). de Gruyter: Berlin, et al.
- Schippa, Th. (2002). *Lexikologie der deutschen Gegenwartssprache*. 2. Aufl. Niemeyer: Tübingen.
- Wellmann, H. (1998). Die Wortbildung. In *Duden: Bd. 4. Grammatik der deutschen Gegenwartssprache* (6., neu bearb. Aufl.). Dudenverlag: Mannheim. S. 408-557.